

## Apple Pay-ში საბანკო ბარათის დამატებისა და გამოყენების პირობები

### 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს სააქციო საზოგადოება „ბანკის“ (მისამართი: 0103, ქ. წამებულის გამზირი N1, ქ. თბილისი, საქართველო. სკ 203841833. შემდგომში - **ბანკი**) კლიენტის მიერ, ბანკის ბარათის Apple Pay-ში ჩართვის/დამატების, Apple Pay სერვისით სარგებლობის პირობებს (შემდგომში - **პირობები**) და წარმოადგენს ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - **ხელშეკრულება**) დამატებას.

1.2. Apple მოწყობილობაში ბარათის ჩართვამდე/დამატებამდე და Apple Pay სერვისით სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია ზედმიწევნით გაეცნოს წინამდებარე პირობებს და Apple Pay სერვისით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს მისი შესრულება სრულად და ჯეროვნად.

1.3. ნებისმიერ შემთხვევაში კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ Apple მოწყობილობაში ან/და Apple Pay-ში ბარათის ან/და დამატებითი ბარათის ჩართვით/დამატებით კლიენტი და დამატებითი ბარათის მფლობელი გამოხატავენ თანხმობას წინამდებარე პირობებზე და დასტურს მათ შესრულებაზე.

1.4. ბარათის ან/და დამატებითი ბარათის Apple მოწყობილობაში დამატებით კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ეთანხმება Apple-ის/Apple Pay-ს გამოყენების პირობებს.

1.5. წინამდებარე პირობები განსაზღვრავს Apple Pay-ზე წვდომისა და კლიენტის ბარათის გამოყენების წესებს მხოლოდ ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებში. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი, სერვისის, Apple Pay და მომსახურების სხვა მომწოდებელი მხარეები (მათ შორის ვებ საიტები), რომლებიც ინტეგრირებულნი არიან საგადახდო მომსახურებების სისტემაში, უფლებამოსილნი არიან დააწესონ საკუთარი წესები და დებულებები (მათ შორის Apple Pay-ის წესები და პირობები) და კონფიდენციალობის პოლიტიკა.

### 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. წინამდებარე პირობების მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **Apple** – აშშ-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Apple, Apple Inc, რომლის მისამართია: 1 Infinite Loop, Cupertino, California 95014 USA;

- **Apple მოწყობილობა** – ისეთი მოწყობილობა როგორცაა iPad, iPhone ან Apple watch, რომელიც იწარმოება Apple-ის მიერ, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბარათის რეგისტრაციისათვის Apple Pay-ში ანგარიშსწორების განსახორციელებლად;

- **Apple Pay/სისტემა** – მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი შექმნილი Apple-ის მიერ რომელიც საშუალებას აძლევს მოხმარებლებს განახორციელონ გადახდა Apple მოწყობილობის და Apple მოწყობილობაში რეგისტრირებული/დამატებული ბარათების გამოყენებით;

- **აუთენტიფიკაციის მონაცემები** – კლიენტის პაროლი Apple Pay-ში ავტორიზაციის მიზნით (მათ შორის კლიენტის ბიომეტრული მონაცემები (თითის ანაბეჭდით (Touch ID), სახის გამოსახულებით) ან Apple Pay-ის მიერ მოწოდებული სხვა ახალი ტექნოლოგია, რომელიც დაყენებულია Apple Pay-ის გაწერილი წესების შესაბამისად, პინ-კოდი, და ასევე სხვა მონაცემები, რომლებიც გამოყენება სისტემაში შესასვლელად. აუთენტიფიკაციის მონაცემები არის კლიენტის პირადი ხელმოწერის ანალოგი;

- **ანგარიშსწორების მომსახურება** – Apple Pay-ის მომსახურებ(ებ)ი, რომლებიც გაწერილია მის წესებსა და პირობებში, და რომელიც მოიაზრებს ციფრული ბარათების გამოყენებით საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდას;

- **ბარათი** – ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკის მიერ კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის სახელზე ემიტირებული “ვიზა/Visa“ ან “მასტერქარდ/MasterCard” ტიპის საბანკო პლასტიკური ბარათი;

- **დამატებითი ბარათის მფლობელი** – კლიენტი ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა ფიზიკური პირი, რომელზეც ბანკს გაცემული აქვს ბარათი;

- **ვირტუალური გამოსახულება** – ციფრული ბარათის ელექტრონული გამოსახულება;

- **თითის ანაბეჭდით შესვლა (Touch ID)** – თითის ანაბეჭდის ამოცნობის ფუნქცია Apple Pay-ში მოქმედებების, მათ შორის, ანგარიშსწორების ოპერაციების, დადასტურების მიზნით. ეს ფუნქცია შეიძლება გააქტიურდეს, შეიცვალოს ან გამოირთოს Apple მოწყობილობაზე წვდომის მოსაპოვებელი კოდის გამოყენებით;

- **კლიენტი** – ფიზიკური პირი, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას;

- **უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორი** – კლიენტისათვის მომსახურების მიწოდებელი, რომელიც უზრუნველყოფს მობილურ ქსელთან სატელეფონო/ინტერნეტ კავშირს მობილური ტერმინალის ფუნქციონირებისათვის;

- **უკონტაქტო ანგარიშსწორება** – ანგარიშსწორება, განხორციელებული უკონტაქტო წამკითხველი მოწყობილობისა და ციფრული ბარათის გამოყენებით;

- **ციფრული ბარათი** – Apple Pay-ში გამოყენების მიზნით კლიენტის მიერ შერჩეული და რეგისტრირებული/დამატებული ბარათი

### 3. Apple მოწყობილობაში ბარათის რეგისტრაციის/დამატება

3.1. კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი ბარათის, ხოლო თავის მხრივ დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი ბარათის რეგისტრაცია/დამატება მის კუთვნილ Apple მოწყობილობაში იმ პირობით, რომ:

3.1.1. კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი იდენტიფიცირებული იქნება ბანკის მიერ, ბანკის მიერ განსაზღვრული წესით;

3.1.2. შესაბამის ბარათზე ან საბარათე ანგარიშზე ბანკის მიერ არ იქნება განსაზღვრული პირობები, რომელიც ზღუდავს ბარათის Apple მოწყობილობაში დამატების შესაძლებლობას.

3.2. Apple Pay-ში ბარათის /დამატებითი ბარათის დამატება ან/და დამატებული ბარათის/დამატებითი ბარათის Apple Pay-დან წაშლა შესაძლებელია განხორციელდეს კლიენტის ან შესაბამისი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ Apple Pay მიერ განსაზღვრული წესებით, წინამდებარე პირობების გათვალისწინებით.

3.3. კლიენტი ბარათს Apple Pay-ში არეგისტრირებს ბარათის მონაცემების Apple მოწყობილობაში შეყვანით, ბარათის წარმატებით ვერიფიკაციის შემთხვევაში, Apple Pay ქმნის ციფრულ ბარათს და Apple Pay-ში ახდენს მისი ვირტუალური გამოსახულების ფორმირებას.

3.4. Apple Pay სერვისით სარგებლობისთვის Apple მოწყობილობაში ბარათის დამატებისას კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს ვერიფიკაციის პროცესის გავლა. ვერიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ერთჯერადი კოდით, რომელიც იგზავნება კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ საკონტაქტო ნომერზე ან სატელეფონო ცენტრის საშუალებით ბანკის მიერ დადგენილი იდენტიფიკაციის პროცესის შესაბამისად. ამასთანავე კლიენტი ნებას რთავს, ბანკს განახორციელოს კლიენტთან სატელეფონო ან/და სხვა სახის კომუნიკაცია კლიენტის ვერიფიკაციის/პროცესის დასრულების მიზნით ან/და დაუსრულებელი ვერიფიკაციის/პროცესის დასრულების შეხსენების თაობაზე.

3.5. მას შემდეგ რაც კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი განახორციელებს Apple Pay-ში ბარათის/დამატებითი ბარათის რეგისტრაციას/დამატებას იგი უფლებამოსილი იქნება Apple Pay-ს საშუალებით განახორციელოს ავტორიზებული ტრანზაქციები მის საბარათე ანგარიშზე. გადახდის განსახორციელებლად, კლიენტი სისტემაში სასურველი ციფრული ბარათის შერჩევას და Apple მოწყობილობის სავაჭრო ობიექტში განთავსებულ უკონტაქტო ტერმინალთან ან წამკითხველ მოწყობილობასთან ახლოს განთავსების შემდეგ, ადასტურებს გადახდას, აუთენტიფიკაციის მონაცემების შეყვანის გზით.

3.6. Apple Pay-ში შესაძლებელია რამდენიმე ბარათის დამატება, ასევე ერთი ბარათის რამდენიმე Apple მოწყობილობაში დამატება.

### 4. უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა

4.1. კლიენტი აცნობიერებს, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს Apple მოწყობილობის განბლოკვის და მისი გამოყენების შესაძლებლობა ასევე შეძლებს განახორციელოს Apple Pay-ში დამატებული/რეგისტრირებული ბარათის/დამატებითი ბარათის გამოყენება.

4.2. ბარათის/დამატებითი ბარათის Apple Pay-ში დამატების შემდგომ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

4.2.1. Apple მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის აუტენტიფიკაციის მეთოდებით;

4.2.2. Apple Pay-ს ელექტრონული საფულე ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ;

4.2.3. Apple მოწყობილობის პასკოდი შენახული იყოს იმავე უსაფრთხოების სტანდარტებით და წესებით, როგორც წვდომის კოდები, მათ შორის:

- არ გაუზიაროს ის მესამე პირს;
- არ განახორციელოს მისი იმგვარი შენახვა, რომ რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი იყოს მესამე პირისათვის;
- არ გამოიყენოს ადვილად მიხვედრადი ან გამოთვლადი პასკოდი (მაგალითად: კლიენტის სახელი დაბადების თარიღი და ა.შ.);
- პასკოდის შენახვისას არ იმოქმედოს გაუფრთხილებლად/დაუდევრად.

4.2.4. დაცული იქნას Apple მოწყობილობის უსაფრთხოება, მათ შორის არ დატოვოს Apple მოწყობილობა უყურადღებოდ დაუბლოკავ მდგომარეობაში, განთავსოს მასზე ანტივირუსის ბოლო ვერსია და ა.შ.;

4.2.5. Apple მოწყობილობის მესამე პირის სარგებლობაში გადაცემამდე უზრუნველყოს ბარათის/დამატებითი ბარათის სისტემიდან წაშლა;

4.3. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი აცნობიერებს, რომ თუ იგი Apple მოწყობილობის განსაბლოკად იყენებს მესამე პირის თითის ანაბეჭდს, სახის ამოცნობის სისტემას ან უზიარებს მესამე პირს Apple მოწყობილობის პასკოდს, აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი მესამე პირისათვის Apple Pay-ში ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებას. რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი მესამე პირის მიერ ინიცირებული ტრანზაქცია ჩაითვლება ავტორიზებულად და მის მიმართ არ იქნება გამოყენებული არავტორიზებული/არასანქცირებული ტრანზაქციისათვის დადგენილი წესები და პირობები.

4.4. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსია ნებისმიერ დროს წაშალოს ბარათი/დამატებითი ბარათი Apple Pay-დან ან შეაჩეროს მისი მოქმედება. ამასთან, კლიენტი აცნობიერებს, რომ იგი არ თავისუფლდება იმ ოპერაციების თანხისა და მათთან დაკავშირებული საკომისიოების გადახდის ვალდებულებისა და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, რომლებიც მან განახორციელა ბარათის Apple Pay-დან წაშლამდე და/ან მის მოქმედების შეჩერებამდე.

4.5. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს თუ:

4.4.1. მისი Apple მოწყობილობა დაიკარგა ან მოპარეს;

4.4.2. Apple მოწყობილობის მომსახურებაში განხორციელდა მოულოდნელი წყვეტა, რაც შეიძლება იყოს იმის მანიშნებელი რომ ადგილი აქვს მონაცემების პორტირებას;

4.4.3. ეჭვი აქვს რომ მოხდა მისი Apple მოწყობილობის უკანონო გამოყენება ან ადგილი აქვს არაუფლებამოსილი პირის წვდომას ბარათის წვდომის კოდებზე

4.5. მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბანკი უზრუნველყოფს ბარათის/დამატებითი ბარათის გამოყენების შეჩერებას და თავის მხრივ აღნიშნული დაეხმარება კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს დაიცვას თავი ანგარიშების არავტორიზებული გამოყენებისაგან.

4.6. ხელშეკრულებაში:

4.6.1. თითოეული მითითება წვდომის კოდებზე ასევე გულისხმობს მითითებას Apple Pay-ს აუთენტიფიკაციის მეთოდებზე.

4.6.2. თითოეული მითითება ბარათის/დამატებითი ბარათის უსაფრთხოების დაცვაზე მოიცავს მითითებას Apple Pay-ს და Apple მოწყობილობის უსაფრთხოების დაცვაზე თითოეული მითითება დაკარგულ/მოპარულ ბარათებთან დაკავშირებით მოიცავს მითითებას Apple მოწყობილობის დაკარგვაზე/მოპარვაზე.

## 5. ხარჯები და საფასური

5.1. ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციების საფასური და ხარჯები განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე. ბანკი არ აწესებს დამატებით საფასურს ბარათის Apple Pay-ში რეგისტრაციის და Apple Pay-ს გამოყენებისათვის.

5.2. კლიენტი აცნობიერებს, რომ მესამე მხარეებთან დადებული ხელშეკრულებები და სხვა სახის შეთანხმებები შესაძლოა ითვალისწინებდნენ ისეთ გადასახადებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს, რომლებიც შესაძლებელია აისახოს ნებისმიერი ციფრული ბარათის გამოყენებაზე (მაგალითად, მონაცემთა გამოყენება, ან ტექსტური შეტყობინების გაგზავნის საფასური, რომელსაც კლიენტს აკისრებს უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორი), რაზეც ბანკი არ არის პასუხისმგებელი. კლიენტი ერთპიროვნულად აგებს პასუხს ასეთის გადასახადების გადახდასა და ყველა შეზღუდვისა და აკრძალვის დაცვაზე.

## 6. Apple Pay-ით სარგებლობის შეჩერება ან/და შეწყვეტა

6.1. ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერი საფუძველით (შეტყობინების საფუძველზე) შეწყვიტოს ნებისმიერი ციფრული ბარათისა და სისტემაში მონაწილეობის მომსახურება ან მხარდაჭერა. ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს Apple Pay-ში ჩართული ბარათი/დამატებითი ბარათი ან/და შეაჩეროს ან შეწყვიტოს Apple Pay-ში ბანკის მიერ ემიტირებული ბარათის/დამატებითი ბარათის მოქმედება თუ: ბანკს აქვს გონივრული ეჭვი თაღლითობასთან დაკავშირებით; შესაბამისი ბარათი/დამატებითი ბარათი დაიბლოკა; დაირღვა შესაბამის ბარათთან დაკავშირებული ანგარიშით მომსახურების პირობები; Apple pay-ს ან/და საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის მოთხოვნის შემთხვევაში; კანონდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ბანკსა და Apple-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში; კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

6.2. Apple Pay იტოვებს უფლებას ბანკისათვის შეტყობინების გარეშე დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ციფრული ბარათით სარგებლობის შესაძლებლობა და/ან შეცვალოს სისტემის ფუნქციები. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი აცნობიერებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის ან მესამე მხარის წინაშე.

6.3. ციფრული ბარათის დროებითი ბლოკირების ან შეჩერების საფუძველ(ებ)ის აღმოფხვრის შემდეგ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი შეძლებს განაგრძოს Apple Pay-ის მომსახურებებით სარგებლობა, შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ.

6.4. კლიენტი უფლებამოსილია წაშალოს ციფრული ბარათი სისტემიდან მოწყობილობაში შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ ან ბანკთან დაკავშირების გზით.

## 7. შეფერხება ანგარიშსწორების მომსახურებების მიწოდებაში

7.1. ციფრულ ბარათზე წვდომა, მისი გამოყენება და მომსახურება დამოკიდებულია Apple Pay-ის მომსახურებების მოცულობასა და უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორის ქსელზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი არ წარმოადგენს Apple Pay-ის მომსახურებების ან უსადენო კავშირგაბმულობის ქსელის ოპერატორს და არ აკონტროლებს მათ მუშაობას, ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის წინაშე რაიმე გარემოებაზე, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს, შეზღუდოს ან სხვა სახით აისახოს ნებისმიერი ციფრული ბარათის ფუნქციონირებაზე, მათ შორის Apple Pay-ის მომსახურებების ან უსადენო კავშირის, კომუნიკაციების მიუწვდომლობაზე, ქსელის

შეფერხებაზე, უსადენო დაფარვის შეზღუდვებზე, Apple Pay-ში წარმოქმნილ ხარვეზებსა და უსადენო კავშირის გაწყვეტაზე.

7.2. ციფრული ბარათის გამოყენება ითვალისწინებს პირადი ინფორმაციის ელექტრონული სახით გადაცემას მესამე მხარის ქსელის მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი არ ახორციელებს მსგავსი ტიპის ქსელების ექსპლუატაციას ან კონტროლს, იგი პასუხს არ აგებს ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალობასა და უსაფრთხოებაზე.

### **8. პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

8.1. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს, რომ Apple Pay-ის და ციფრული ბარათის ფუნქციები შესაძლებელია განახლდნენ ავტომატურად, მისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, მიიღოს გადაწყვეტილება ციფრული ბარათისთვის განსაზღვრული ოპერაციების სახეობებისა და/ან მოცულობების გაფართოების, შემცირების ან შეჩერების ან რეგისტრაციის პროცედურის შეცვლის შესახებ.

8.2. ბანკისთვის ყველა ბარათის დაბრუნებისა და ანგარიშის დახურვის შემდეგ, კლიენტი არ თავისუფლდება იმ ოპერაციების თანხისა და მათთან დაკავშირებული საკომისიოების გადახდის ვალდებულებისა და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, რომლებიც კლიენტმა განახორციელა ბარათის დაბრუნებისა და ანგარიშის დახურვამდე პერიოდში.

### **9. წინამდებარე წესებსა და პირობებში ცვლილებების შეტანა**

9.1. ბანკი იტოვებს უფლებას, მოახდინოს წინამდებარე წესებისა და პირობების გადახედვა. წინამდებარე წესებსა და პირობებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ბანკი კლიენტს ატყობინებს წინამდებარე წესებსა და პირობებში მითითებული კომუნიკაციის ნებისმიერი არხით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით. თუ კლიენტი არ ეთანხმება წინამდებარე წესებში შესატან რომელიმე ცვლილებას, მას შეუძლია სისტემიდან წაშალოს ციფრული ბარათი, ამასთანავე კლიენტი ნებას რთავს ბანკს განაგრძოს ასეთი ტიპის ციფრულ ბარათთან დაკავშირებული, სისტემიდან ციფრული ბარათის წაშლის მომენტისთვის შეუსრულებელი დავალების დამუშავება/შესრულება.

9.2. ბანკის მიერ ახალი წესებისა და პირობების დადგენის შემდეგ, ციფრული ბარათის მეშვეობით საგადახდო ოპერაციის შესრულება ჩაითვლება კლიენტის თანხმობად მათ გამოყენებაზე.

### **10. კომუნიკაცია**

10.1. სისტემაში ბარათის/დამატებითი ბარათის რეგისტრირებით/დამატებით, კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს არსებული სახით.

10.2. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს მიიღოს ბანკის მიერ გაგზავნილი საინფორმაციო და სხვა ტიპის შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სისტემის მომსახურებებს და რომელთა გამოსაგზავნად გამოიყენება კომუნიკაციის შემდეგი არხები;

10.2.1. ელექტრონული ფოსტა (ანგარიშის გახსნის განაცხადში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართი);

10.2.2. სმს შეტყობინება (უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებულია ანგარიშის გახსნის განაცხადში)

### **11. მონაცემთა შეგროვება და უსაფრთხოება**

11.1.1. კლიენტისთვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური, პერსონალური მონაცემებისა და დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის და არა მხოლოდ, კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მობილურ ტერმინალზე არსებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოყენება, რათა უზრუნველყოს:

11.1.1.1. ბანკის პროდუქტებისა და მომსახურებების განახლება და გაუმჯობესება;

11.1.1.2. მიწოდებული მომსახურებების უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;

11.1.1.3. თაღლითობის ფაქტების აღკვეთა.

11.1.2. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ბანკი პასუხს არ აგებს კავშირგაბმულობის არხებით, სმს შეტყობინებით, USSD-სერვისით ან/და სხვა არხებით გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

11.1.3. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ბანკი არ აგებს პასუხს, თუ მესამე პირებისთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია კლიენტის ანგარიშის და/ან ბარათის (ყველა იმ ბარათის შესახებ, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება ოპერაციები ანგარიშზე) შესახებ, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს გადაეცემა დისტანციური არხებით და გამოიყენება კლიენტის/კლიენტის წარმომადგენლის მიერ ბანკისთვის მიწოდებული რეკვიზიტები (მობილური ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართები, პაროლები ან კოდური სიტყვები და სხვ.).

11.1.5. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემები გადაეცეს Apple Pay-ს Apple-ს ან/და მათთან აფილირებულ პირებს.

## 12. სხვა პირობები

12.1. Apple Pay-ს და Apple მოწყობილობის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს Apple და ბანკის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ Apple-ისთვის ინფორმაციის მიწოდებით, იმისათვის, რომ ბანკის ბარათების მფლობელებმა სრულად ისარგებლონ Apple-ის სერვისებით.

12.3. Apple Pay-ს გამოყენებით კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი სრულად ეთანხმება Apple Pay-ს წესებსა და პირობებს;

12.3. წინამდებარე პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს ექსკლუზიური იურისდიქცია ექნებათ ნებისმიერი საქმეზე ან დავასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე პირობებთან დაკავშირებით.

## Terms and Conditions for Apple Pay usage and adding Bank Cards

### 1. General Provisions

1.1. This document sets out the terms and conditions (hereinafter referred to as the **Terms**) for the usage of Apple Pay services and the registration of the bank cards into the Apple Pay system by the clients of JSC Basisbank (address: 0103, 1 K. Tsamebuli Avenue, Tbilisi, Georgia. Registration code 203841833. hereinafter referred to as the **Bank**). This document also constitutes an addition to the Agreement on banking services provided to natural person (hereinafter referred to as the **contract**).

1.2. Prior to registering/adding a card into an Apple device and using the Apple Pay service, the customer is required to be thoroughly familiar with these terms and conditions and to ensure that they are fully and properly implemented throughout the Apple Pay service period.

1.3. In any case, by registering/adding a card and/or additional card into the Apple Pay device and/or Apple Pay, the client and/or additional card holder express their consent to the present terms and confirmation and agree on their fulfillment.

1.4. By adding a card and/or additional card to the Apple device, the additional client / additional card holder agrees to the terms of use of Apple/Apple Pay.

1.5. Given terms and conditions set out the rules for accessing Apple Pay and using a customer card only within the relationship between the bank and the customer. Mobile Communications Operator, Service, Apple Pay and other service providers (including websites) that are integrated into the payment service system) are authorized to set their own rules and regulations (including Apple Pay terms and conditions) and privacy policies.

### 2. Definitions of terms

2.1. For the purposes of present Terms and Conditions The following terms have the following meanings:

- **Apple** - a legal entity registered in the United States - Apple, Apple Inc., address: 1 Infinite Loop, Cupertino, California 95014 USA;
- **Apple device** - a device such as iPad, iPhone or Apple watch, which is manufactured by Apple, which can be used to register a card to pay in Apple Pay;
- **Apple Pay/System** - A mobile/digital payment system/service created by Apple that allows users to make payments using Apple device and cards registered/added this devices;
- **Authentication data** - Customer password for authorization on Apple Pay (including client biometric data (Touch ID), face image) or other new technology provided by Apple Pay, installed in accordance with the rules of Apple Pay. PIN code, as well as other data used to log in to the system. Authentication Data is the analog to client's personal signature;
- **Payment service** - Apple Pay service(s) that are envisaged in its terms and conditions, and intended to pay for goods and services using digital cards;
- **Card** - a Visa or MasterCard bank card issued in the name of the client or additional card holder in accordance with the agreement;
- **Additional card holder** - the client and/or other individual /named by the client to whom the bank has issued the card;
- **Virtual image** - electronic image of digital card;
- **Touch ID** - A fingerprint recognition function in Apple Pay to verify actions, including payment operations. This feature can be activated, modified or disabled using the access code on the Apple device;
- **Client** - an individual who has signed a contract;
- **Wireless Communication Operator** - a customer service provider that provides telephone/ internet connection to the mobile network for the operation of the mobile terminal;
- **Contactless Payment** - Payment made using a contactless reader and digital card;
- **Digital card** - a card selected and registered/added by the client for use in Apple Pay.

### 3. Registering/Adding a Card to Apple Device

3.1. The client is entitled to register their card, and the additional card holder is in turn authorized to register/add an additional card to their Apple device, provided that:

3.1.1. The client and/or the additional card holder will be identified by the bank in accordance with the rules established by the bank;

3.1.2. The appropriate card or card account will not specify the conditions by the bank that limit the ability to add a card to an Apple device.

3.2. Adding a card/additional card to Apple Pay and/or deleting the added card/additional card from Apple Pay can be done by the client or the additional card holder of the relevant additional card, according to the rules set by Apple Pay, taking into account the present terms and conditions.

3.3. The client registers the card in Apple Pay by entering the card data in the Apple device. In case of successful verification of the card, Apple Pay creates a digital card and forms its virtual image in Apple Pay.

3.4. While adding a card to an Apple device, in order to use Apple Pay service, the client may be required to go through the verification process. Verification can be done with a single code, which is sent to the contact number registered by the client with the bank or through the bank call center, following the identification process established by the bank. In addition, the client allows the bank to communicate with the client by telephone and/or other means of communication to complete the client's verification process and/or to remind the client to finalize the incomplete verification .

3.5. Once the client/additional cardholder registers/adds the card to Apple Pay, they will be entitled to make authorized transactions with their card account via Apple Pay. To make the payment, the client confirms the payment by selecting the desired digital card in the system and placing the Apple device near the contactless terminal or reading device located in the store, by entering the authentication data.

3.6. Multiple cards can be added to Apple Pay, as well as one card may be added to multiple Apple devices.

#### **4. Security and Responsibility**

4.1. The client acknowledges that any person who has the ability to unlock and use the Apple device will also be able to use the added/registered card/additional card in Apple Pay.

4.2. After adding the card /additional card to Apple Pay, the client/additional card holder is obliged to ensure that:

4.2.1. Apple devices may only be used by cardholder's authentication methods;

4.2.2. The Apple Pay e-wallet is only accessible by the cardholder;

4.2.3. The Apple device passcode are stored following the same security standards and rules as the access codes, including:

- It shall not be shared with a third party;
- It shall not be stored in such a way that it is in any form available to a third party;
- Shall not be used an easily comprehensible or computable passcode (for example: client's name, date of birth, etc.);
- The clients shall not show carelessness/negligence while storing the passcode.

4.2.4. Shall protect the security of the Apple device, including not leaving the Apple device unattended in an unlocked state, shall install the latest version of the antivirus on it, etc.

4.2.5. Shall ensure deletion of the card/additional card from the system before transferring the apple device to a third party.

4.3. The client/additional cardholder acknowledges that if they use a third-person fingerprint or facial recognition system to unblock the Apple device, or share Apple device passcode to the third party, that means authorizing the third party to dispose the card/additional card in Apple Pay. This means that the transaction initiated by the relevant third party will be considered authorized and the terms and conditions established for unauthorized/unsanctioned transaction will not be applied to it.

4.4. The client/additional cardholder is authorized to remove the card/additional card from Apple Pay at any time or to suspend its operation. Herewith, the client acknowledges that they are not exempt from the liability of paying amount of transactions and of related fees and liabilities, which were carried out before removing the card from Apple Pay and/or suspending its validity.

4.5. The client/additional cardholder is obliged to immediately notify the bank, if:

4.4.1. Their Apple device was lost or stolen;

4.4.2. An unexpected interruption occurred in the service of the Apple device, which may indicate that the data is being ported;

4.4.3. It is suspected that his/her Apple device was used illegally or that an unauthorized person has accessed the access codes of the card.

4.5. Based on the information provided, the bank will ensure that the use of the card /additional card is suspended. This in turn will help the client/additional cardholder to protect themselves from unauthorized use of accounts.

4.6. In the contract:

4.6.1. Each reference to access codes also implies a reference to Apple Pay authentication methods.

4.6.2. Each instruction on protecting the security of the card/additional card includes an instruction on Apple Pay and Apple device security. Each instruction regarding lost/stolen cards includes an instruction on the loss/theft of an Apple device.

#### **5. Costs and fees**

5.1. The fees and expenses for the transactions carried out from the account are published on the bank's website. The bank does not charge additional fees for registering a card in and using Apple Pay.

5.2. Customer understands that the agreements and other arrangements concluded with third parties may envisage such taxes, limitations or restrictions, which can be reflected on any digital card use (for example, the use of data, or text messaging fees, imposed on a client by wireless communication operator), for which the bank is not responsible. The client is solely responsible for paying such taxes and for adhering all restrictions and prohibitions.

#### **6. Termination or/and Suspension of the Use of Apple Pay**

6.1. The Bank reserves the right to terminate the service or support of any digital card and participation in the system on any grounds (on the basis of notification). The bank is authorized to block the card/additional card registered with Apple Pay and/or suspend or terminate the validity of the card/additional card issued by the bank in Apple Pay, in case: the bank has a reasonable suspicion of fraud; the card/additional card is blocked; the terms of the account related to the card were violated; upon request of Apple pay and/or international payment system; in case of termination of the contract between the bank and Apple; in cases prescribed by law.

6.2. Apple Pay reserves the right to block, restrict, suspend or discontinue the use of a digital card by the client/additional card holder and/or modify the functions of the system without notice to the bank. Customer/cardholder understands that in such case the bank is not liable towards the customer/additional cardholder or third party.

6.3. After elimination of the grounds of a temporary blocking of a digital card or the suspension of a card, the client/additional cardholder will be able to continue using Apple Pay services after receiving the appropriate notification.

6.4. The client is authorized to remove the digital card from the system after completing the relevant procedure on the device or by contacting the bank.

#### **7. Delay in the Provision of Payment Services**

7.1. Access to a digital card, its usage and service depends on the volume of Apple Pay services and the wireless communication operator network. Taking into consideration that the bank is not an operator of Apple Pay's services or wireless communication network and does not control their operation, the bank is not responsible to client/additional cardholder for any circumstances that may suspend, restrict or otherwise affect the function of any digital card, including limited accessibility of Apple Pay services or wireless connectivity, network blockage, wireless coverage restrictions, Apple Pay-related flaws the wireless connection fail.

7.2. The use of a digital card involves the electronic transmission of personal information via a third party network. Due to the fact that the bank does not operate or control such networks, it is not responsible for the confidentiality and security of such information.

#### **8. Limitation of Liability**

8.1. The client/additional card holder acknowledges and agrees that Apple Pay and digital card functions can be updated automatically, without additional notifications sent to them. The Bank shall, at any time, have the right to decide to expand, reduce or suspend the types and/or volume of operations specified for the digital card or change the registration procedure.

8.2. After returning all the cards to the bank and closing the account, the client is not exempt from the amount of the transactions; and the obligations to paying commissions related thereto; and from the liabilities that the client carried out during the period before returning the card and closing the account

#### **9. Making amendments to given Terms and Conditions**

9.1. The Bank reserves the right to revise these Terms and Conditions. The Bank shall notify the client of any changes in these Terms and Conditions via any communication channel specified in these Terms and Conditions as defined in the contract. If the client does not agree with any of the changes made to Terms, they may remove the digital card from the system. Herewith, the client allows the bank to continue processing/completing the tasks related to this type of digital card, which could not be completed by the time the card was deleted.

9.2. After the bank establishes new Terms and conditions, the completion of the payment operation through the digital card will be considered as the client's consent to their use.

#### **10. Communication**

10.1. By registering/adding the card/additional card in the system, the client/additional card holder agrees to the given Terms and Conditions as they are.

10.2. The client /additional card holder agrees to receive information and other messages sent by the bank regarding the system services and for which the following communication channels are used:

10.2.1. Email (the same email address as specified in the account opening application);

10.2.2. SMS message (mobile phone number of the wireless communication operator, indicated in the application for opening the account).

#### **11. Data Collection and Security**

11.1.1. The client/additional cardholder is aware and agrees that the bank is authorized to collect, process and use technical information, personal data and related information, including, but not limited to, the information available at client's/additional cardholder's mobile terminal, to ensure:

11.1.1.1. Updating and improving the bank's products and services;

11.1.1.2. Improving the security level of the services provided;

11.1.1.3. Prevent fraud.

11.1.2. The client acknowledges and agrees that the bank shall not be liable for the confidentiality of information transmitted through communication channels, SMS messages, USSD services and/or other channels.

11.1.3. The client/additional cardholder acknowledges and agrees that the Bank shall not be liable if third parties get hold of the client's account information (all cards through which the transactions are completed on the account) when such information is passed on to the client via remote channels and the bank used details submitted to the bank by the client/client representative (mobile phone numbers, email addresses, passwords or secret words, etc.).

11.1.5. The client/additional card holder agrees to transfer their personal data to Apple Pay, Apple and and/or affiliated parties.

## **12. Other Conditions**

12.1 Apple ensures the smooth operation of Apple Pay and the Apple device. The bank's involvement is limited to providing information only to Apple, so that cardholders can make full use of Apple's services.

12.2 Using Apple Pay, the client/additional cardholder fully agrees to the terms and conditions of Apple Pay.

12.3 Given Terms and Conditions are regulated by the legislation of Georgia. The client/additional cardholder agrees that the common courts of Georgia will have exclusive jurisdiction over any case or dispute that may arise in connection with these terms and conditions.